ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0122216132**
თარიღი: **04/08/2022**

ადრესატი: ლუკა ჩაგანავა
პირადი ნომერი: 01017043074
მისამართი: ბაზალეთის ქუჩა # 3

ბატონო ლუკა,
შპს ,თბილსერვის ჯგუფში" 2022 წლის 1 აგვისტოს შემოსული თქვენი #19/01222131041-62 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ქ. თბილისი, დიდი დიღომი II და III მ/რ-ებს შორის არსებული ტერიტორია ს/კ 01.10.08.006.642. გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული ტერიტორიის წითელი ხაზების მიმდებარედ გაედინება მუნიციპალურ მფლობელობაში არსებული სანიაღვრე კოლექტორი (ე.წ ,,წორწორას" ხევი), რომლის გარკვეული მონაკვეთი დაზიანებულია და შესაბამისად საჭიროა კოლექტორის მდგრადობის შესწავლა და შემდგომ მისი რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი შენობა-ნაგებობა აღნიშნული სანიაღვრე კოლექტორის (ე.წ ,,წორწორას" ხევი) კედლიდან დაშორებული უნდა იქნეს არანაკლებ 10 (ათი) მეტრით, რათა საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად განხორციელდეს კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-
დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

A007 | მიწის ნაკვეთის გეგმა

1:300 | გეგმები

მიწისქვეშა კოლექტორის
შეზღუდვის ზონა

01.10.08.001.249

01.10.08.001.249

006.668

10000

საქართველო ქ. თბილისის მერია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
შეთანხმებულია:
საზუაოების წარმოებისას გამოიძახეთ სანიაღვრე
განყოფილების წარმომადგენელი
ტ: 591 51 27 27 "4" აგვისტო 22წ.

A3

A007

სათაური

მიწის ნაკვეთის გეგმა

Ns studio
0179 ბაზალეთის ქუჩა 3
ქ. თბილისი, საქართველო.
Tel: 593 27 88 58
info@nsstudio.ge

პროექტი

ქალაქ თბილისში, დიღმის მე-3 მიკრო რაიონში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

სტრუქტურა

Progresi LTD
ვაჟა-ფშაველას გამზირი 16
ქ. თბილისი, საქართველო.
Tel: (995 32) 237 10 09
progresi.ltd@gmail.com

ინფორმაცია დამკვეთის შესახებ

"შპს მწვანე დიღომი 2022"

#21.07.2022

Cad Dwg File: **III Micro, Digomi**

ლუკა ჩაგანავა

ნინო ჭანტურია

გიორგი ვარდოსანიძე

ნიკალა ღლონტი

დავით ბალავაძე

ვიქტორია სუკიასოვი

Ns studio

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-61278-22
10 / 08 / 2022

შპს „ნს სტუდიო“-ს დირექტორს
ბატონ ლუკა ჩაგანავას

ბატონო ლუკა,

თქვენი მიმდინარე წლის 1 აგვისტოს №02-13-61278-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, II და III მ/რ-ს შორის არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.08.006.642) სიახლოვეს გადის შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი მოქმედი მიწისქვეშა პოლიეთილენის D=90 მმ-იანი და D=110 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია თანახმაა განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები, თუ გაზსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების- „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დამტკიცების თაობაზე). კერძოდ, მანძილი მიწისქვეშა გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 4 (ოთხი) მეტრით. მიწისქვეშა გაზსადენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეზღუდვის ზონაში (4 მეტრი) დაუშვებელია ბეტონის საფარის მოწყობა, ნებისმიერი სახის ნაგებობის და მრავალწლიანი ხე-ნარგავების განთავსება.

წარმოგიდგენთ აღნიშნული ტერიტორიაზე გაზსადენების განლაგების სქემატურ ნახაზს და მოთხოვნის თანახმად გიგზავნით ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: სქემატური ნახაზი -1 (ერთი) ფურცელი;
დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:350
D=110 PE
D=90 PE
01.10.08.006.642
მანძილი 0,7 მ
ჩ
დ
ა
ს
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.08.006.642
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

97828 / 02-13-61278-22 / 2022-08-01

A007 მიწის ნაკვეთის გეგმა

1:200 გეგმები



სათაური

მიწის ნაკვეთის გ

Ns studio
0179 ბაზალეთ
ქ. თბილისი, ს
Tel: 593 27 88 5
info@nsstudio.g

პროექტი

ქალაქ თბილის
რაიონში მრავა
საცხოვრებელი

სტრუქტურა

Progresi LTD
ვაჟა-ფშაველას
ქ. თბილისი, საქ
Tel: (995 32) 237
progresi.ltd@gma

ინფორმაცია დან

"მპს მწვანე დიღ

#21.07.2022

Cad Dwg File: III Micro

ლუკა ჩაგანავა

ნინო ჭანტურია

გიორგი ვარდოსანიძ

ნიკალა ღლონტი

დავით ბალავაძე

ვიქტორია სუკიასოვი

Ns studio

შეთანხმებულია

მპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD

ტექნიკური დოკუმენტაცია

სარეგისტრაციო № 02-13-61278-22

10 / 08 2022 წ.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი *11.05.2022 წელი*

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

(1) ***გამყიდველები*** – ანიკო კუპატაძე (პ/ნ 01022008544), გიორგი ბუჩუკური (პ/ნ 01006008836), გიორგი გოშაძე (პ/ნ 01024023064), დავით ჭელიძე (პ/ნ 01005005883) და ვაჟა გოლოშვილი (პ/ნ 01015009630).

(2) ***მყიდველები*** – ბესიკ გავაშელი (პ/ნ 01006009961), ზვიად გავაშელი (პ/ნ 01006009960) და დავით ლობჟანიძე (პ/ნ 01010015126).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

(1) წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული შემდეგი ტერმინები აღნიშნავენ:

ა) ***ნასყიდობის საგანი*** – უძრავი ქონება, რომელზეც წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით გამყიდველები მყიდველებს გადასცემენ საკუთრების უფლებას.

ბ) ***ნასყიდობის ფასი*** – ფულადი თანხა, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით მყიდველები გადასცემენ გამყიდველებს ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ.

გ) ***მხარე*** – გამყიდველი ან მყიდველი კონტექსტის შესაბამისად.

დ) ***მხარეები*** – მყიდველი და გამყიდველი ერთდროულად.

ე) ***მესამე პირი*** – ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა.

(2) წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნი

წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველები მყიდველებს თანაბარწილად საკუთრების უფლებას გადასცემენ ნასყიდობის საგანზე.

მუხლი 4. ნასყიდობის საგანი

(1) ნასყიდობის საგანს წარმოადგენს შემდეგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: მდებარე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, II და III მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/071), საკადასტრო კოდი 01.10.08.006.642, დაზუსტებული ფართობი: 2803 კვ/მ. გამყიდველები ყიდიან მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთს მყიდველებზე, ხოლო მყიდველები თანაბარწილად თანასაკუთრების უფლებით ყიდულობენ გამყიდველების კუთვნილ მიწის ნაკვეთს კერძოდ:

- ანიკო კუპატაძისგან მყიდველები თანაბარწილად ყიდულობენ 500 კვ/მ-ს;
- გიორგი ბუჩუკურისგან მყიდველები თანაბარწილად ყიდულობენ 423 კვ/მ-ს;
- გიორგი გოშაძისგან მყიდველები თანაბარწილად ყიდულობენ 1100 კვ/მ-ს;
- დავით ჭელიძისგან მყიდველები თანაბარწილად ყიდულობენ 500 კვ/მ-ს;
- ვაჟა გოლოშვილისგან მყიდველები თანაბარწილად ყიდულობენ 280 კვ/მ-ს;

ს
სა
თარიღი
გვ.რაოდ

(2) გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი. გამყიდველები ადასტურებენ, რომ ნასყიდობის საგანი არ არის დაყადაღებული, არ არის დატვირთული იპოთეკით ან სხვა რაიმე უფლებრივი შეზღუდვით და არ არსებობს მესამე პირი ვისაც შეიძლება რაიმე სახის პრეტენზია გააჩნდეს ნასყიდობის საგანთან მიმართებით.

(4) გამყიდველის საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

მუხლი 5. ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის შედეგები

იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება ნივთობრივად ან უფლებრივად ისეთი ნაკლის მქონე, რასაც გამყიდველი დაუმალავს მყიდველს, გამყიდველს დაეკისრება ვალდებულება, თავისი ხარჯითა და ძალისხმევით გამოასწოროს დაფარული ნაკლი.

მუხლი 6. ნასყიდობის ფასი

(1) ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მყიდველები სოლიდარულად კისრულობენ ვალდებულებას:

- ანიკო კუპატაძეს გადაუხადონ 176.596 (ასსამოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდა თექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
- გიორგი ბუჩუკურს გადაუხადონ 149.400(ასორმოცდაცხრა ათას ოთხასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
- გიორგი გოშაძეს გადაუხადონ 388.512 (სამასოთხმოცდარვა ათას ხუთას თორმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
- დავით ჭელიძეს გადაუხადონ 176,596 (ასსამოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
- ვაჟა გოლოშვილს გადაუხადონ 98 894 (ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

(2) ნასყიდობის საფასურის გადახდა ხდება ნასყიდობის საგნის მყიდველის სახელზე რიგისტრაციიდან ერთი საბანკო დღის ვადაში.

(3) ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდა ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მუხლი 7. ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობა

ნასყიდობის საგანი მყიდველის საკუთრებაში გადადის საჯარო რეესტრში ნასყიდობის საგნის მყიდველის სახელზე რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

(1) მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(2) მყიდველების მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველებს, გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

(3) იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის საგანს აღმოაჩნდება ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი და გამყიდველები მყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრავენ ნაკლს, მყიდველი უფლებამოსილია გამყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო, ნასყიდობის საფასურის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

(1) მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

(2) „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, მუშაკთა უკმარისობა, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

(3) მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს შესაბამისი დასკვნით.

(4) თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 10.ხელშეკრულების ძალაში შესვლა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

(1) მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

(2) თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების ნაწილის ბათილობა

თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებენ ბათილი დებულების გარეშე.

...ციის სამინის...
...ოვნული სააგ...
№ 2139
..... 201...
...ერა.....

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალმოსილია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა და ეგზემპლარები

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ცხრა ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო დარჩენილი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს. ყველა ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა ხელმოწერები:

გამყიდველები: *მყიდველები:*

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2139
თარიღი 12.12.2022წ.
გვ.რაოდენობა 4 ხელმოწერა

ერო
ენტო
წ.